

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
კანონი

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა
და უფლებამოსილებათა შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილებათა შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში (გაზეთი „აჭარა“, №33, 01.03.2007 წელი) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. 1-ლი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1. კანონის მიზანი

ეს კანონი განსაზღვრავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის (შემდგომში – ავტონომიური რესპუბლიკა) რესპუბლიკური ბიუჯეტის ფორმირების პრინციპებს და არეგულირებს რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტის მომზადებისა და დამტკიცების, რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტის წარდგენისა და განხილვის, რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონში ცვლილებების შეტანის, შესრულების, ანგარიშგებისა და კონტროლის წესს, აგრეთვე, ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების საბიუჯეტო უფლებამოსილებას და პასუხისმგებლობას.“.

2. მე-2 მუხლის 1-ლი, მე-5, მე-7, მე-10, მე-15, მე-17, მე-18 და მე-19 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ბიუჯეტი, სახელმწიფო ბიუჯეტი, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი, საბიუჯეტო განაცხადი, საშუალოვადიანი მაკროეკონომიკური პროგნოზი, საშუალოვადიანი ფისკალური პროგნოზი, პროფიციტი და დეფიციტი, ნაშთი, თავისუფალი ნაშთი, საბიუჯეტო კლასიფიკაცია, ასიგნებები, გრანტი, სესხი, – „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული განმარტებების მიხედვით.“;

„5. ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების შეფასება – რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების პროცესში ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქმიანობისა და განხორციელებული ასიგნებების შედეგად მიღებული სოციალური შედეგისა და ხარჯების ეფექტიანობის შეფასება.“;

„7. შემოსულობებიდან რესპუბლიკურ ბიუჯეტში განაწილების პროცენტული მაჩვენებლები - საქართველოს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონებით დადგენილი წესით შემოსულობების წილი რესპუბლიკურ ბიუჯეტში, პროცენტებში.

„10. მხარჯავი დაწესებულება – ბიუჯეტის ორგანიზაციული კლასიფიკაციის მიხედვით პირველი თანრიგის დაწესებულება, რომლისთვისაც

ბიუჯეტით გათვალისწინებულია ასიგნება და რომელიც პასუხისმგებელია მის მართვაზე.“;

„15. რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობები – იმ სახსრების ერთობლიობა, რომლებიც გამოიყენება რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელების დასაფინანსებლად.“;

„17. რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლები – ამ კანონის მე-15 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული შემოსულობები.“.

„18. რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯები – ამ კანონის მე-16 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული გადასახდელები.“.

„19. გრანტები – წარმოადგენს არასავალდებულო მიმდინარე ან კაპიტალური დანიშნულების ტრანსფერებს ერთი დონის სახელმწიფო ერთეულიდან სხვა დონის სახელმწიფო ერთეულზე ან საერთაშორისო ორგანიზაციაზე.“.

3. მე-2 მუხლის მე-19 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-20 და 21-ე პუნქტები:

„20. რესპუბლიკური ბიუჯეტის არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები და ვალდებულებები – საბიუჯეტო კლასიფიკაციით განსაზღვრული აქტივები და ვალდებულებები.

21. ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროფიციტი და დეფიციტი – ერთი მხრივ, რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლებსა და ფულად გრანტებს და, მეორე მხრივ, ხარჯებსა და დაკრედიტებას შორის დადებითი სხვაობა არის ბიუჯეტის პროფიციტი, ხოლო უარყოფითი სხვაობა – რესპუბლიკური ბიუჯეტის დეფიციტი.“.

**4. მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„მუხლი 3. სამართლებრივი საფუძვლები**

ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების საბიუჯეტო უფლებამოსილებანი ხორციელდება საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს კონსტიტუციური კანონის „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს კანონების - „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“, „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ“, „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“, „შემოსულობების განაწილების წესის შესახებ“, ამ კანონის, გადასახადებისა და მოსაკრებლების თაობაზე საქართველოს კანონმდებლობის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების საფუძველზე.“.

5. მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. რესპუბლიკური ბიუჯეტის დამოუკიდებლობას უზრუნველყოფს საკუთარი შემოსულობების წყაროები და საკუთარი გადასახდელების დამოუკიდებლად განსაზღვრის უფლება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.“.

6. მე-7 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობები და გადასახდელები განისაზღვრება მათი რეალურობიდან გამომდინარე.“.

7. მე-10 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 10. ბიუჯეტის უნივერსალობა

რესპუბლიკური ბიუჯეტის ყველა შემოსულობა მიიმართება საერთო გადასახდელების დასაფინანსებლად, გარდა მიზნობრივი ტრანსფერებისა, დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელებისა და დონორების მიერ დაფინანსებული ხარჯებისა. ამასთან, არც ერთი შემოსულობა არ უნდა იქნას მიმართული მიზნობრივად, კონკრეტული გადასახდელის ან/და ღონისძიების დასაფინანსებლად. მხარჯავი დაწესებულების მიერ მიღებული შემოსულობების შენარჩუნება მისი მიზნებისათვის დაუშვებელია.“.

8. მე-11 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საბიუჯეტო რეგულირება ხორციელდება საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკისა და მის შემადგენლობაში შემავალი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებს შორის შემოსულობების განაწილებით, საქართველოს სახელმწიფო და ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტებიდან მიღებული ან გადაცემული გრანტებით.“.

9. მე-12 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 12. საბიუჯეტო კონსოლიდირება

საბიუჯეტო კონსოლიდირება გულისხმობს ყველა შემოსულობის ხაზინის ერთიანი ანგარიშის სისტემაში მოქცევას და გადასახდელების გადახდას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხაზინის ერთიანი ანგარიშის სისტემის ანგარიშების მართვას სახელმწიფო ხაზინის მიერ.“.

10. მე-14-ე მუხლის:

ა) 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტის მომზადებაზე, რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონში ცვლილებების შესახებ კანონის პროექტის მომზადებაზე და დამტკიცებული რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულებაზე და ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა, ხოლო რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტის წარდგენაზე, რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონში ცვლილებების შესახებ კანონის პროექტის წარდგენაზე, რესპუბლიკური ბიუჯეტის წლიური შესრულების ანგარიშის წარდგენაზე – ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე.“.

ბ) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტის განხილვა და მიღება, რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულებაზე კონტროლი, შეფასება და წლიური შესრულების ანგარიშის დამტკიცება ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილებაა.“.

გ) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ზედამხედველობასა და კოორდინაციას უწევს რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტის მომზადებას, ბიუჯეტის შესრულებასა და ანგარიშგებას, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარუდგენს ანგარიშს კანონმდებლობით განსაზღვრული წესის შესაბამისად საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული მიზნობრივი და სპეციალური ტრანსფერით დაფინანსებული ხარჯების შესახებ.“.

11. მე-15 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 15. რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობები

ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობებია:

ა) შემოსავლები, მათ შორის:

ა.ა) გადასახადები;

ა.ბ) გრანტები;

- ა.გ) სხვა შემოსავლები;
- ბ) არაფინანსური აქტივები;
- გ) ფინანსური აქტივები (ფინანსური აქტივებით ოპერაციებიდან მიღებული სახსრები);
- დ) ვალდებულებები (ვალდებულებების აღების შედეგად მიღებული სახსრები)“.

12. მე-16 მუხლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 16. რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელები

„რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელებია:

- ა) ხარჯები, მათ შორის:
 - ა.ა) შრომის ანაზღაურება;
 - ა.ბ) საქონელი და მომსახურება;
 - ა.გ) სუბსიდიები;
 - ა.დ) პროცენტი;
 - ა.ე) გრანტები;
 - ა.ვ) სოციალური უზრუნველყოფა;
 - ა.ზ) სხვა ხარჯები;
- ბ) არაფინანსური აქტივები (არაფინანსური აქტივებით ოპერაციებზე მიმართული სახსრები);
- გ) ფინანსური აქტივები (ფინანსური აქტივებით ოპერაციებზე მიმართული სახსრები, მათ შორის ნაშთის დაგროვება);
- დ) ვალდებულებები (ვალდებულებების ძირითადი ნაწილის დაფარვაზე მიმართული სახსრები)“.

13. მე-18 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. რესპუბლიკურ ბიუჯეტში გაუთვალისწინებელი და საგანგებო გადასახდელების დასაფინანსებლად იქმნება სარეზერვო ფონდი, ფიქსირებული ასიგნებების 2%-ის ფარგლებში, რომლის განკარგვის მიმართულებებს ადგენს ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა, რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული მოცულობებისა და პირობების შესაბამისად.

2. სარეზერვო ფონდიდან სახსრები გამოიყოფა ისეთი ადგილობრივი მნიშვნელობის საგანგებო შემთხვევებისათვის, როგორცაა ბუნებრივი და სხვა სახის კატასტროფები, აგრეთვე, სხვა გაუთვალისწინებელი გადასახდელების დასაფინანსებლად“.

14. მე-19 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის მიღება ხდება დასაგეგმი საბიუჯეტო წლისათვის. რესპუბლიკური ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს დასაგეგმის შემდგომი საბიუჯეტო წლების შემოსულობებისა და გადასახდელების პროგნოზი“.

15. მე-20 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 20. ავტონომიური რესპუბლიკის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი

1. საბიუჯეტო წლის პრიორიტეტების დასადგენად და მიზნობრივი პროგრამების შერჩევის მიზნით ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო მთავრობასთან შეთანხმებით ყოველი ახალი საბიუჯეტო წლისათვის იწყებს კვლევებს სახელმწიფო და სამოქალაქო სექტორში არსებული პრობლემებისა და სოციალური დაკვეთის შესწავლისათვის.

2. ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ სამინისტროებთან და უწყებებთან კოორდინაციით ყოველი წლის 1 მარტიდან იწყებს მუშაობას **ავტონომიური რესპუბლიკის** ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტზე (საშუალოვადიან მაკროეკონომიკურ პროგნოზზე, საშუალოვადიან ფისკალურ პროგნოზებზე, რესპუბლიკური ბიუჯეტის ძირითად მონაცემებსა და მიმართულებებზე, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკის საშუალოვადიან სამოქმედო გეგმებზე).

3. რესპუბლიკური ბიუჯეტის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები მოიცავს მიმდინარე წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობას, წინადადებებს რესპუბლიკური ბიუჯეტის სტრატეგიის შესახებ, რომელიც გამომდინარეობს ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის პრიორიტეტებისაგან, შემოსავლებისა და ხარჯების, ფინანსური და არაფინანსური აქტივებით ოპერაციებისა და ვალდებულებების აგრეგირებულ მაჩვენებლებს, საბიუჯეტო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, სხვა მონაცემებს დასაგეგმი საბიუჯეტო წლისათვის.

4. ავტონომიური რესპუბლიკის საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმები (ინფორმაციული ხასიათის) მოიცავს ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტებს (პროგრამებს/ღონისძიებებს) დასაგეგმი და დასაგეგმის შემდგომი 3 საბიუჯეტო წლისათვის.

5. ავტონომიური რესპუბლიკის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტები მოიცავს:

ა) რესპუბლიკური ბიუჯეტის მაჩვენებლებს გასული, მიმდინარე, დასაგეგმი და დასაგეგმის შემდგომი საბიუჯეტო წლებისათვის;

ბ) გასული საბიუჯეტო წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების საბოლოო შედეგების ანალიზს და მიმდინარე წლის გადამუშავებულ პროგნოზებს;

გ) დასაგეგმი და არანაკლებ დასაგეგმის შემდგომი საბიუჯეტო წლებისათვის:

გ.ა) ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორების პროგნოზებს;

გ.ბ) ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ განსაზღვრულ პრიორიტეტებს სექტორების მიხედვით;

გ.გ) ფისკალურ პოლიტიკას;

გ.დ) რესპუბლიკური ბიუჯეტის მთლიანი შემოსავლების, ხარჯების (ძირითადი ფუნქციებისა და ეკონომიკური მუხლების მიხედვით) და ბიუჯეტის დეფიციტის თანაფარდობას მთლიან შიდა პროდუქტთან;

გ.ე) შემოსავლების და ხარჯების, ფინანსური და არაფინანსური აქტივებით ოპერაციებისა და ვალდებულებების აგრეგირებულ მაჩვენებლებს.

6. არა უგვიანეს 15 აპრილისა, ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ავტონომიური რესპუბლიკის ძირითადი მიმართულებისა და მონაცემების დოკუმენტს განსახილველად წარუდგენს ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას.

7. არა უგვიანეს 15 მაისისა, ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ მოწონებულ ავტონომიური რესპუბლიკის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტს ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა წარუდგენს ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტს.

8. არა უგვიანეს 1 ივნისისა, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტი ამზადებს დასკვნას, რომელიც ეგზავნება ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას.“.

16. 21-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. არა უგვიანეს 10 ოქტომბრისა, ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა ავტონომიური რესპუბლიკის შემადგენლობაში შემავალ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ორგანოებს აცნობებს დელეგირებული უფლებამოსილებების სახეებს, ღონისძიებებს, მომსახურების მოცულობებს და მიზნობრივი ტრანსფერის ძირითად პარამეტრებს.

2. საქართველოს და ავტონომიური რესპუბლიკის საკანონმდებლო აქტების ან/და ხელშეკრულების საფუძველზე ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ განსაზღვრული პარამეტრების გათვალისწინებით ამზადებს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისათვის დელეგირებული უფლებამოსილებების პროგრამების გაანგარიშებებს, მიზნობრივი ტრანსფერის მოცულობას და წარუდგენს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოს.“.

17. 22-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 22. საბიუჯეტო ცირკულარის მომზადების ვადები და წესი

1. საბიუჯეტო ცირკულარი მოიცავს თითოეული მხარჯავი დაწესებულების მიხედვით ინფორმაციას კადრებისა და ასიგნებების ზღვრული მოცულობების შესახებ.

2. არა უგვიანეს 1 ივლისისა, ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა ამტკიცებს მხარჯავი დაწესებულებების კადრებისა და ასიგნებების ზღვრულ მოცულობებს.

3. არა უგვიანეს 15 ივლისისა, ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი გამოსცემს საბიუჯეტო ცირკულარს (რომელიც დგება ავტონომიური რესპუბლიკის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტების საფუძველზე) და უგზავნის მხარჯავ დაწესებულებებს.“.

18. 24-ე მუხლის:

ა) 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„არა უგვიანეს 1 აგვისტოსი, მხარჯავი დაწესებულებების ხელმძღვანელები საბიუჯეტო განაცხადებს წარუდგენენ ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს. ამასთან, დაუშვებელია საბიუჯეტო განაცხადის წარდგენა საბიუჯეტო ცირკულარში მითითებული ძირითადი პარამეტრების ზღვრული მოცულობის ზევით. დასაშვებია განაცხადთან ერთად დამატებით, წარდგენილ იქნეს საფინანსო გეგმა (ხარჯთაღრიცხვა) დამატებითი შემოსულობების პირობის გათვალისწინებით.“.

ბ) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საბიუჯეტო განაცხადი დანართებთან ერთად (ასევე მათი ელექტრონული ვერსია) უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) გასული საბიუჯეტო წლის ფაქტობრივ შემოსულობებსა და გადასახდელებს, მიმდინარე საბიუჯეტო წლის მოსალოდნელ შემოსულობებსა და გადასახდელებს, დასაგეგმი საბიუჯეტო წლის შემოსულობებისა და გადასახდელების პროგნოზებს, მათ შორის, საბიუჯეტო კლასიფიკაციის ყველაზე დაბალი თანრიგის შესაბამისად;

ბ) საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით დასაგეგმის შემდგომი 3 საბიუჯეტო წლისათვის გაანგარიშებულ შემოსულობებსა და გადასახდელებს;

გ) მომუშავეთა რიცხოვნობას, მიმდინარე მაჩვენებლიდან გადახრის ჩათვლით;

დ) შემოსულობებისა და გადასახდელების პროგნოზების დასაბუთებას;

ე) მიღებულ ან მისაღებ არაფულად გრანტებს, საცნობარო მუხლის სახით;

ვ) წინა წლების დავალიანების დაფარვის წინადადებებსა და მომსახურების ხარჯებს;

ზ) დანართებს (საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად გათვალისწინებული გადასახადების დეტალური გაწერის თაობაზე), თანახმად ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ დამტკიცებული ფორმებისა და მეთოდური მითითებისა.“.

გ) მე-3 პუნქტი ამოღებული იქნეს.

19. 25-ე მუხლის მე-2, მე-4 და მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. არა უგვიანეს 1 ივლისისა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს კადრებისა და ასიგნებების ზღვრულ მოცულობებს უმაღლესი საბჭოს მიერ წარდგენილი პროექტის საფუძველზე, განსაზღვრავს ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა. ამასთან, რესპუბლიკურ ბიუჯეტში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსათვის განკუთვნილი ასიგნებების შემცირება წინა წლების შესაბამის ოდენობასთან შედარებით შეიძლება მხოლოდ უმაღლესი საბჭოს თანხმობით. ხოლო, არა უგვიანეს 1 ოქტომბრისა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო დადგენილებით ამტკიცებს უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტს, რომელიც ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ გათვალისწინებულ უნდა იქნეს რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტში.“;

„4. არა უგვიანეს 15 ოქტომბრისა, ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ამზადებს რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტს და მას განსახილველად წარუდგენს ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას.

5. ავტონომიური რესპუბლიკის დარგობრივი სამინისტროები და უწყებები რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტის მომზადების პროცესში თანამშრომლობენ ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს შესაბამის დარგობრივ კომიტეტებთან, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს წარუდგენენ თავიანთ მოსაზრებებს.“.

20. 26-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 26. რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტის წარდგენა

1. ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე, არა უგვიანეს 1 ნოემბრისა, უმაღლეს საბჭოს წარუდგენს რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტს თანდართული მასალებთან (ახვევ მათ ელექტრონულ ვერსიასთან) ერთად.

2. რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტი მოიცავს:

ა) რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობებს და თითოეული მხარჯავი დაწესებულებისათვის გათვალისწინებული ასიგნებების მოცულობას საბიუჯეტო კლასიფიკაციის მეორე თანრიგის (ორგანიზაციული კლასიფიკაციის გარდა) მიხედვით; საინვესტიციო პროექტების შემთხვევაში - აგრეთვე თითოეული საბიუჯეტო წლისათვის ცალკე სავარაუდო ხარჯთაღრიცხვას და დეტალურ ინფორმაციას დონორების მიერ დაფინანსებული პროექტების შესახებ;

ბ) ინფორმაციას ბიუჯეტის პროფიციტისა და დეფიციტის შესახებ;

3. რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტის თანდართული მასალები (ელექტრონულ ვერსიასთან ერთად) მოიცავს:

ა) ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარდგინებას შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

ა.ა) ინფორმაციას ავტონომიური რესპუბლიკის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტების შესაბამისად ეკონომიკის მდგომარეობისა და ბიუჯეტის შესრულების შესახებ;

ა.ბ) ინფორმაციას საბიუჯეტო წინადადებებისა და მათი გაანგარიშების საფუძველების შესახებ;

ა.გ) ინფორმაციას საბიუჯეტო რისკისა და საკრედიტო მდგომარეობის შესახებ;

ა.დ) ასიგნებებისა და საშემოსავლო პროგნოზების დასაბუთებას;

ა.ე) საინფორმაციო აღწერილობას ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქმიანობის შესახებ, საცნობარო მუხლის სახით;

ბ) სარეზერვო ფონდის მოცულობას;

გ) ინფორმაციას საბიუჯეტო წლის დასაწყისისათვის არსებული ფინანსური აქტივების, გარდამავალი საბრუნავი საშუალებების მოცულობისა და წინა წლების დავალიანებების ვალდებულებების (გადასახადების სახეების მიხედვით) დაფარვისა და მომსახურების ასიგნების მოცულობათა შესახებ;

დ) მიზნობრივ პროგრამებს.

ე) წლიური საბიუჯეტო კანონის ამოქმედებისათვის საჭირო საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტს.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს გასული, მიმდინარე, დასაგეგმი და დასაგეგმის შემდგომი წლებისათვის. ამასთანავე, დასაგეგმის შემდგომი 3 წლის შესახებ ინფორმაცია მოცემული უნდა იყოს ზოგად მაჩვენებლებში.

5. რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტით გათვალისწინებული თითოეული გადასახდელი უნდა იყოს დაკონკრეტებული, ხოლო პროგრამები – შედგენილი კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით.“.

21. 27-ე მუხლის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 27. რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტის განხილვა და მიღება“;

22. 28-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 28. ასიგნებები რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის მიუღებლობის შემთხვევაში

„1. თუ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ამ კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ ვადაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს დასამტკიცებლად არ წარუდგენს რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტს, საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია გადააყენოს მთავრობა.

2. თუ უმაღლესი საბჭო მომდევნო საბიუჯეტო წლის დაწყებამდე ვერ მიიღებს რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონს, საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია, საქართველოს პარლამენტთან შეთანხმებით, დაითხოვოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო და დანიშნოს რიგგარეშე არჩევნები.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით რესპუბლიკური ბიუჯეტის დადგენილ ვადაში დაუმტკიცებლობის შემთხვევაში უმაღლესი საბჭოს დათხოვნისას, რესპუბლიკური ბიუჯეტის დამტკიცების თაობაზე გადაწყვეტილებას ღებულობს საქართველოს პრეზიდენტი, არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

4. რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის მიუღებლობის შემთხვევაში ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო უფლებამოსილია საბიუჯეტო წელს ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად აუცილებელი გადასახდელები გასწიოს ახალ საბიუჯეტო წელს ყოველ თვეში გასული წლის ასიგნებების 1/12-ის ოდენობით.“.

23. 29-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 29. რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონში ცვლილებების შეტანა

1. რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე კანონის პროექტის მომზადების, წარდგენის, განხილვისა და მიღების წესი განისაზღვრება ამ კანონითა და უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის შესაბამისად.

2. რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონით გათვალისწინებულ ასიგნებებში ცვლილებების შეტანის შესახებ კანონის პროექტს, ვალდებულების აღებამდე და ხარჯის გაწევამდე ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე წარუდგენს ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს, გარდა ამ კანონის 30-ე მუხლის მე-7, მე-8 და მე-9 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3. კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის განსახილველი პროექტი, რომელიც გავლენას ახდენს რესპუბლიკური ბიუჯეტის დამტკიცებული შემოსულობებისა ან/და გადასახდელების პროგნოზზე, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ შეიძლება მიღებულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ახლავს კანონის პროექტი რესპუბლიკურ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის თაობაზე, გარდა ამ კანონის 30-ე მუხლის მე-7, მე-8 და მე-9 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა. აღნიშნული კანონის პროექტი ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ შეიძლება მიიღოს მხოლოდ ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მიერ წარდგენის შემდეგ, ხოლო მომავალ საფინანსო წელთან დაკავშირებული ზემოაღნიშნული კანონის პროექტი – ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოსთან შეთანხმებული რესპუბლიკური ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრების ფარგლებში. აღმასრულებელი ხელისუფლების ყველა დონისძიება, რომელიც გავლენას ახდენს რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების მოცულობაზე, დაუყოვნებლივ ან რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების მომდევნო კვარტალური ანგარიშის განხილვის დროისათვის მაინც უნდა იქნეს ასახული კანონის პროექტში რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ.“.

4. რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ კანონის პროექტზე დართული მასალები უნდა შეიცავდეს რესპუბლიკური ბიუჯეტის საბოლოო შედეგის პროგნოზებს, საშუალოვადიან მაკროეკონომიკური პროგნოზის განახლებულ ვერსიასთან და საშუალოვადიან ფისკალურ პროგნოზებთან ერთად, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მათი წარდგენა საჭირო არ არის ცვლილებების შინაარსიდან გამომდინარე.

5. რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების შესახებ წლის პირველი კვარტლის შემდეგ ყოველი თვის (ნაზარდი ჯამით) შედეგების განხილვისას პროგნოზირებული შემოსულობების 10%-ით ან მეტით შეუსრულებლობის, ან გადაჭარბების შემთხვევაში ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მიერ ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს წარედგინება რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ კანონის პროექტი.“.

24. 30-ე მუხლის:

ა) 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულებას თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანოები.“.

ბ) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. მხარჯავი დაწესებულება პასუხისმგებელია ასიგნებების შესაბამისად გადახდის განხორციელებაზე, მიზნობრივ გამოყენებაზე, ვადებისა და „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ კანონით განსაზღვრული პირობების დაცვაზე, სახელმწიფო აქტივებისა და ვალდებულებების მართვაზე, პროცედურებისა და მოთხოვნების კონტროლზე.“.

გ) მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7.ერთი მხარჯავი დაწესებულებიდან ერთ ან რამდენიმე მხარჯავ დაწესებულებაზე დამტკიცებული ასიგნების გადანაწილება დასაშვებია მხოლოდ რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონში ცვლილებების შეტანის გზით.“.

დ) მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. მხარჯავი დაწესებულებისათვის გამოყოფილი ასიგნებების მთლიანი ოდენობიდან თანხები ერთი ან მეტი ასიგნებიდან ერთ ან მეტ ასიგნებაზე შეიძლება გადანაწილდეს მხოლოდ ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. ამ სახის ასიგნების გადანაწილება შეიძლება განხორციელდეს დამტკიცებული ასიგნების ოდენობის 5 პროცენტის ფარგლებში.“.

ე) მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9. ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსთან შეთანხმებით ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს მისთვის გამოყოფილი ასიგნების გადანაწილებისათვის ამ მუხლის მე-8 პუნქტით დადგენილი უფლების გამოყენება შეუძლია შეუზღუდავად, ამასთან, დამტკიცებული ასიგნებების ოდენობის ამავე მუხლის მე-8 პუნქტით დაწესებული ნორმის ფარგლებში – უმაღლესი საბჭოს დადგენილებით.“

25. 30-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-10 პუნქტი:

„10. შესაბამისი სამართლებრივი აქტისა და მხარჯავი დაწესებულების მიერ წარმოდგენილი წინადადებების საფუძველზე მინისტრი უფლებამოსილია, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობასთან შეთანხმებით განახორციელოს ცვლილებები (ორგანიზაციული კოდის დამატება, საბიუჯეტო ორგანიზაციის, პროგრამის ან ღონისძიების დასახელების შეცვლა) ორგანიზაციულ კლასიფიკაციაში. აღნიშნულ ცვლილებებთან დაკავშირებული ასიგნებების გადანაწილება უნდა განხორციელდეს ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.“.

26. 31-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 31. სესხის აღებისა და გაცემის უფლება

1. რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების პროცესში, შემოსავლების უკმარისობის შემთხვევაში დროებით წარმოქმნილ ფინანსურ სიდნელებთან დაკავშირებით, რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონით გათვალისწინებული გადასახდელების დასაფინანსებლად ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებას უფლება აქვს აიღოს სესხი მხოლოდ საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახით ან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ნებართვით, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. საბიუჯეტო სახსრები შეიძლება მიიმართოს დასაქმებისა და მცირე ბიზნესის ხელშეწყობისათვის. ამ მიზნით შეიძლება გაიცეს სესხები კონკურსის წესით, რესპუბლიკური ბიუჯეტის ფიქსირებული ასიგნებების არა უმეტეს 2,0%-ის ფარგლებში.“.

27. 33-ე მუხლის მ-3 პუნქტის „ა“ - ქვეპუნქტი, მე-5 და მე-6 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) შემოსულობებისა და გადასახდელების შესრულება, შემოსულობების ყოველი სახეობისა და მხარჯავი სუბიექტის მიხედვით საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად დაგეგმილთან შედარებით მეტობის ან ნაკლებობის მითითებით;“.

„5. უმაღლესი საბჭოს სხდომაზე რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშების განხილვისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

კონტროლის პალატის მოხსენების შემდეგ უმაღლესი საბჭო არა უგვიანეს 1 ნოემბრისა იღებს დადგენილებას რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების ან დაუმტკიცებლობის შესახებ.

6. თუ უმაღლესი საბჭო რესპუბლიკური ბიუჯეტის შეუსრულებლობის შემთხვევაში არ დაამტკიცებს რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს, საქართველოს პრეზიდენტი განიხილავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხს და უმაღლეს საბჭოს ერთ თვეში აცნობებს თავისი დასაბუთებული გადაწყვეტილების თაობაზე.“

28. 34-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს კონტროლის პალატის მიერ ერთობლივად მიღებული (გამოცემული) შესაბამისი სამართლებრივი აქტების საფუძველზე და საერთაშორისო სტანდარტებზე დაყრდნობით მხარჯავი დაწესებულება და ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლება ამტკიცებს შემოსულობებთან და გადასახდელებთან დაკავშირებული ოპერაციების შიდა აუდიტის განხორციელების პროცედურებს. შიდა აუდიტი ხორციელდება მხარჯავი დაწესებულების და ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ხელმძღვანელთა უშუალო ზედამხედველობით.“;

29. 34-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 3¹. პუნქტი:

„3¹. უმაღლესი საბჭო ასევე უფლებამოსილია (უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის შესაბამისად) კონტროლისა და გამოკვლევის მიზნით განხორციელოს მონიტორინგი, რესპუბლიკური ბიუჯეტიდან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შემადგენლობაში შემავალი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებისათვის გადაცემული მიზნობრივი და სპეციალური ტრანსფერების მართლზომიერ ხარჯვაზე. დარღვევების გამოვლენის შემთხვევაში მიმართოს, ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის შეჩერების მოთხოვნით, ასევე, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში კონტროლის პალატას არაგეგმიური შემოსულების ჩატარების თაობაზე.“.

30. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 38¹ მუხლი:

„მუხლი 38¹. ასიგნებების გადანაწილების შეზღუდვა

ამ კანონის 30-ე მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული რესპუბლიკური ბიუჯეტის ასიგნებების გადანაწილება 2009 და 2010 წლებში განხორციელდეს 10 %-ის ფარგლებში.“.

მუხლი 2.

ეს კანონი ამოქმედდეს 2009 წლის 1 იანვრიდან.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარე

ლევან ვარშალომიძე

ბათუმი,

2008 წლის — მაისი

№——-უ.ს.——.ს.